№ 193. 16 სეკტემბერი, ხუთშაბათი. 1866—1882 16 სეკტემბერი, ხუთშაბათი. № 193.

რედაქცია

...გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლები ...ის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

...იღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ...ჭილაძის (ვერაგრდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...თათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак- „Дроэба".

„დროების" ფასი:

...წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
...თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია ... და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ოთხის თვის ხელის-მოწერა.

...პირველის სეკტემბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდის

„დროება"

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

...ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მ...სკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

...ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

...გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(...რუსის-მხრის ტელეგრაფის სააგენტოსი")

...ბურღი, 13 ენკენისთვეს. „ნო...ვრემია" გვაცნობებს განზრახვა ...გამოსცენ მართებლობის იაფი ...თვიური ფურცელი ყოველთა... ...მესატყობად სხვა-და-სხვა წარ...თ გაუმჯობესობისა.

...ს ენკენისთვეს დანიშნულია სა...ქონტნისა, ეგსეევასა, გუზუმკი... ...ქალაქის პრიმის სიკვდილის ...ზედ პოლიტიკურის მიზანით.

...ნსთა მინისტრმა გარდასწყვი...უმნუნა სასმელები ღვინათ შე...ული გაიყიდოს მხოლოდ იმათ...ასაც პატენტი აქვსთ.

...ბურღი, 14 ენკენისთვეს. მო...წლიდამ პეტერბურღში გამო...ოდი, პოლიტიკური გაზეთი, ...ის რედაქტორად იქნება ბატე...

...ნსთ სამინისტროში ადგენენ ...წესდებას აქციონურ ბანკებისას.

პეტერბურღი, 14 ენკენისთვეს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული დებულება ბეჭდვის საქმეების შესახებ.

პეტერბურღის ბირჟა, 13 სეკტემბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95 — | „ |
| მეორესი — — — — | 92 — | 72 |
| მესამესი — — — — | 91 — | 5 |
| მეოთხესი — — — | 90 — | 12 |
| მეხუთესი — — — | 90 — | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 — | 75 ½ |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 — | „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 — | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — | 7 ½ |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 213 — | 50 ½ |
| მეორე სესხის — — | 207 — | 50 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24 — | 9 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205 — | 50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 253 — | 25 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — | „ | პფენიგი |

## ერთი საყურადღებო საქმე

როდესაც ორასი გლეხის მამულების ბედი წყდება და გლეხებისაგან სისხლის ოფლით ნაშოვარ მიწებს სხვა ეპატრონება, მე ვგონებ, რომ ყოველი გაზეთი ვალდებულია დაეხმაროს თავის სიტყვით ამ გლეხებს. ამ კვირაში არის დანიშნული საქმე შორაპნის მაზრის თ თ. აბაშიძეების თხოვნით დაწყებული ქუთაისის ოლქის სასამართლოში მყოფის წინეთ პაცხის მონასტრის ორასი სახაზინო გლეხების დასაკუთრებაზე. ამ საქმეს თავის ისტორიული მოთხრობა აქვს.

იმ დროს, როდესაც ქუთაისის გუბერნიაში განუსაზღვრელის უფლებით განაგებდა ბ. ლევაშოვი, ორის თავადის აბაშიძის მოხერხებით, გუბერნიის საგლეხო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ორასი გლეხი მცირე გადასახადის მძლეველი პაცხის მონასტრის სასარგებლოდ და 1871 წელში განთავისუფლებულნი სახაზინოთ უნდა მინიჭებოდათ დილიკაურის სოფლის თ.თ. აბაშიძეებთ ყმებათ და მიროვის პოსრედნიკებს მისწერეს მათ მამულებზე უსტავნის გრამატების შედგენა.

ეს გარდაწყვეტილება ისე მოხდა, რომ გლეხებმა, სანამ მიროვის პოსრედნიკები არ მიადგნენ კარზე, ვერა გაიგეს-რა. შეიტყეს თუ არა, ძალაზე დადგნენ და განაცხადეს უარი უსტავნის გრამატების შედგენაზე. ლევაშოვმა მოახდინა ჯეროვანი განკარგულება ძალის დატანებით უსტავნის გრამატების შედგენისათვის. ბევრი მათრახები მოხვდა ზოგიერთ გლეხებს ზურგზე, მაგრამ მაინც დიდ უარზე იყვნენ. დააპირეს ეკზეკუციის გაგზავნა ამ გლეხების სოფელში. მაგრამ ამ დროს შეიქმნა ლაპარაკი და წერა ადგილობრივ გაზეთებში ამ ტოკარევის მსგავს საქმეზე. განსაკუთრებით „დროებამ" შექმნა ამ საქმის თაობაზე დიდი ლაპარაკი. გლეხები მიიქცნენ საჩივრით გუბერნსკი სუდის განჩინებაზე კავკასიის მთავარ-სამმართველოში, სადაც ნაჩალნიკად იყო ყველასაგან კარგად ცნობილი ბარონ ნიკოლაი. კავკასიის მთავარ სამმართველომ ქუთაისის გუბერნსკის სუდის განჩინება დაარღვია და აბაშიძეებს გამოუცხადა, რომ თავისი კუთვნილება სუდის წესით ეძიათ.

აი ეხლა არის დანიშნული ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოში თთ. აბაშიძეების მხრით დაწყებული ვექილის დ. ლორთქიფანიძისაგან. როგორც იმ დროს, ისე დღეს გლეხებმა ამ საქმის დაწყების არაფერი არ იციან. აბაშიძეები საჩივრით გლეხებთან კი არ არიან მიქცეულნი; ისინი საჩივარს აცხადებენ სახაზინო ქონების სამმართველოზე. ამ სამმართველომ უნდა აგოს გლეხების მაგიერ პასუხი და გლეხები, როგორც ცხოვრები არიან გაჩუმებულნი... ან ვინ ჰკითხავს მათ...

ამ საქმეს რომ დააკვირდები კაცი, ბევრი კითხვა აღიძრება, რომელნიც მიგებას ითხოვენ. აი მაგალითებრ:

1) რა უფლებით გარდასწყვიტა ამდენი გლეხების მამულების ბედი ქუთაისის გუბერნსკის სუდმა წინეთ?

...ების" ფელეტონი, 16 სექტემბ.

## მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

...თუ გირგოლას ჰგონია, რომ ...დაავიწყდა რა უსამართლობაც ...იმას? ნუ თუ ჰგონია რომ ...ა, დაიპოჩრჩილა იმისი გული ...ს მშვიდობიანათ შეეძლო დამ...ყო იმასთან ცხოვრებით.—მაშ ...ეა, ერთხელ ხომ გადამარჩი...კვდილს და მეორედ კი ველარ, ...მადლმა!

...ტყვეებთან ერთად ის საჩქა...შმოვარდა და შევიდა გამოქვა...ს იქიდგან გაძვრა ქანქანათ გა...ს ხვრელში და გავიდა ისეთს ...ს სადგანაც თავისუფლად და ...ველად შაეძლო ყურება. იქიდ...ნუ ყურება უცნობს და და...ს.

როდესაც კობა და დარეჯანა ქოხისკენ გამოიმართნენ და ნუნუ დარწმუნდა, რომ ისინი იმასთან მოდიან, ის გავიდა თავის საფარიდგან, მოირბინა იქვე პატარა გორაკი, რომელიც ჰფარავდა მომავლების თვალიდგან და წყნარად გავიდა ციხის კარებში. რა წამს თავის-თავი თავისუფალი ნახა, გზაზედ დადგომის მაგივრად, ის აღმა შედგა ყირვან წვერისაკენ და გადავიდა გერგეტულ მთაში, მაგრამ ისე რიგად დასუსტდა, რომ მუხლებ მოჭრილი დაეცა და იქვე დაეძინა.

სანამ ეს ამ მგზავრობაში იყო, დარეჯანა შეუძღვა კობას გამოქვაბულში და რადგანაც იქ ვერავინ იპოვეს, წყნარად წამოიძახა:

— ნუნუ, რაა იქენ? მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. დარეჯანა შევიდა მეორე გამოქვაბულში, მაგრამ ისევ ჩქარა გამობრუნდა, რადგანაც იქაც ვერავინ იპოვა.

არიქა მიშველე, დავლუპულვარ! შესძახა იმან კობას, რომელსაც არ ესმოდა რა ხდებოდა.

— რაი ამბოვია, რაი არის?

— ნუნუ აღარსადაა.

— მაშ რაი იქნებოდა?

— რაი ვიცი!

დარეჯანა ისევ შებრუნდა გამოქვაბულის მეორე ოთახში, იმას შეჰყვა კობა, ეძებეს ბევრი, მოათვალიერეს ყოველი კუნჭული, მაგრამ იმათ ვერავინა ნახეს. დარეჯანამ მაშინვე იფიქრა, რომ ნუნუს თავი უნდა მოეკლა და ამისთვის შესტირა ცხარე ცრემლებით; რასაკვირველია, რომ კობამაც შესაძლოდ დაინახა ეს შემთხვევა, რადგანაც იმას უანბეს, რომ ამ წინაზედაც ნუნუმ კინალამ ჩამოიღრჩო თავი.

ისინი გამოცვივდნენ გარეთ, მოხვდნენ აქეთ-იქით, მოირბინეს მთელი მინდორი, გადააბრუნეს იქაურობა მაგრამ ქალი ველარსად იპოვეს, და გადაწყვიტეს რომ უკანა კარიდგან უნდა გასულიყო.

— რა იქნებოდა, სად მოიზაფრებოდა? მეასედ იმეორებდა კობა.

— აბა რაი ვიცი, რაი... უპასუხა და ღარეჯით დარჯანა.

— თუ თავი მოიკლა სადმე მკვდარი მაინც უნდა გვეპოვნა.... მიწაში ხომ არ ჩაძვრებოდა?

ამ სიტყვებით ისინი ხელ ახლად იწყებდნენ ძებნას, დარბოდნენ არშის ციხეში და ყოველ ადგილას, ყოველ ქვას უკან მოელოდნენ ნუნუს პოვნას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს დაქანცულებმა ქალის ძებნით იმედი გადაიწყვიტეს და დალონებულები შეიყარნენ მოედანზედ.

— რაილა უთხრა ივლოს?! შეწუხებით წარმოსთქვა ბუგუამ, რომელზედაც მტირალმა დარეჯანამ პასუხი არ მისცა.

თუ კობას აწუხებდა თავისი მდგომარეობა და არ იცოდა რა ეთქვა თა-

*) „დროება", № 192.

2) ამისთანა დიდი საქმეა დაწყებული ამოდენა გლეხებზედ და რატომ არაფერს ჰკითხვენ თვითონ გლეხებს?...

3) მყოლებათ მათ ისეთი მფარველი სახაზინო ქონების გამგეობის მხრით, რომ მათზე მამობრივი მზრუნველობა გამოაჩინოს?.. და სხვ.

ეს საქმე ტოკარევის საქმეს ზევრათ ემსგავსება. ამისათვის მივაქცევ ადგილობრივი გაზეთების ყურადღებას. ამათთანა ერთგული დამცველი გლეხებს არ ეყოლება ხაზინის მხრით, ქაცხის მონასტერი, მართალია, ეკუთვნოდა თთ. აბაშიძეებს; ამ მონასტრის გლეხებად იწოდებოდნენ (ისიც ღმერთმა უწყის უფლებით), ვისაც თითო კვერცხი სანთელი უნდა შეეწირა მონასტრისთვის. ძველ დროში ამ მონასტერს სწირავდნენ გლეხებს სხვა მებატონეებიც.

საკვირველია, რა უფლებით თხოულობენ თთ. აბაშიძეები ამისთანა გლეხების დაბეგვრას და დამონებას? ვერ ნახავთ გლეხობაში ისეთ ოჯახს, რომ პატარა სანთლის შეწირვა არ ემართოს რომელიმე მონასტრის ანუ ეკკლესიისა და ამისთვის შეიძლება, რომ ისინი ამ მონასტრებს ანუ ეკკლესიებს დაუსაკუთროს კაცმა? აბაშიძეები ამტკიცებენ, ვითომ ეს გლეხები მათგან იყოს მინიჭებული ქაცხის მონასტერზე მონასტრის სარჩენათ და რადგან სასულიერო წოდებას საეკკლესიო გლეხები ჩამოართვეს, ისევ უნდა დაგვიბრუნდესო. მაგრამ ეს არ არის მართალი. ეს გლეხები, რომელთა დამონება სურსთ აბაშიძეებს, არასოდეს არ ჰყოლიათ მათ ყმათ და მათთვის არასოდეს არაფერი უძლევიათ.

სახოცველო მთავრობამ, როგორც სხვაგან, იმე იმერეთის საეკკლესიო გამგეობას ჩამოართვა ყველა მამული და საეკკლესიო გლეხები. მათი შემოსავლის დაგვარად ხაზინისაგან ეძლევა საეკკლესიო უწყებას წელიწადში 30,000 მ. ხელმწიფემ ყველა ეს განთავისუფლებული გლეხები სახაზინოთ შერაცხა. მხოლოდ უნდათ ხელმწიფის დამტკიცება დაარღვიონ და კამერალიის სიაში ჩასმული გლეხები ამორიცხონ და აბაშიძეებს დაუსაკუთრონ! ეს არ უნდა მოხდეს, ვინემ ხელმწიფის დამტკიცება არ იქნება დარღვეული და ხელახლა გარდახილული. ანუ თუ სასულიერო მართებლობამ მიჰყიდა სახაზინო უწყებას ეს გლეხები, სასულიერო უწყებაზე უნდა დაიწყონ აბაშიძეებმა საჩივარი და რასაც იღებს სასულიერო უწყება იმ გლეხების ანგარიშიდამ, აბაშიძეებს უნდა დაუბრუნოს; მაგრამ იმ პირობით, რომ აბაშიძეებმა უნდა დაამტკიცონ კუთვნილება ამ გლეხებზე, რომელიც შეუძლებელია.

ორი სია იყო შედგენილი ქაცხის მონასტრის გლეხებზე. ერთს სიაში იყვნენ ჩაწერილნი გლეხები, რომელნიც, მართლა, თთ. აბაშიძეებთაგან იყვნენ მიჩენილნი მონასტრის სარჩოდ და მეორე სია კი იყო შედგენილი იმ გლეხებზედ, რომელნიც სულ თავიდამ საეკკლესიოთ იწოდებოდნენ და აბაშიძეებს არავითარი კუთვნილება მათზე არ ჰქონდათ. ეს მთავრობისაგან დამტკიცებული სიაში გაქრა იმ დროს, როდესაც ქუთაისის გუბერნსკის სუდმა დაიდვა განჩინება ამ გლეხების დამონებაზე. ამ გამქრალ სიაში იყვნენ მოხსენებულნი იმ სოფლის გლეხები, რომელთა დამონებას და ადგილების ჩამორთმევას ცდილობენ აბაშიძეები. ეს მშვენიერი საბუთი, როგორც ამბობენ, ლევაშოვის სასახლეში დაიკარგაო. თვითონ ლევაშოვს უთქვამს ზოგიერთა პირებთან, რომ მას მოჰპარეს ეს საბუთი მის კაბინეტში.

ბევრი გლეხის ქონება გადასულა თავად-აზნაურების ხელში იმისთვის, რომ მათ ხმას არ აღებინებენ და სახაზინო მხრით ვექილები ბრძანდებიან მათი ინტერესის დამცველათ. მაგ თუ ამ შემთხვევაშიც ამისთანა ბედი ეწიოს ამ 225 კომლის გლეხებისაგან სისხლით ნაშოვარ ადგილ-მამულს...

N. N.

## დღიური

სამი ტუსაღი, რომელთ გაქცევის ამბავი ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოყვანილი, ყოფილან: ივანოვი, ბძელიევი და მჭედლიშვილი. ბოროდოვის, რომელმაც ორი ამათგანი (ბძელიევი და მჭედლიშვილი) მოჰკლა, ჰქვია სახელად სტეფანე დავიდოვი.

* * *

ამბობენ, რომ ამ დღეებში ცხრამეტ-თვრამეტის წლის ახალ-გაზრდა ქალმა ოლგა ბუტკევიჩისამ თავი მოიკლაო; ყურში იკრა რევოლვერი და იმ წამსვე მოკვდაო.

* * *

ერთს ფრანცუზულს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა ბათომის გამაგრების თაობაზედ:

„როგორც ეტყობა, რუსის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ბათომს ნავსადგურის გარშემო უმთავრესი მთები ახლაც საკმაოდ გამაგრებულია; ქალაქის სამხრეთით ცახეებში აგებულია. ამ უკანასკნელ დროს შვიდი ცეცხლის-გემი მუშაობს მუდამ; ამათ მოიტანეს სამოცი კრუპპის ზარბაზანი და ბევრი სამხედრო მასალები; ამ ზარბაზნებსა და მასალებს რკინის გზით ზიდავენ, რომელიც გაყვანილია ზემოხსენებულ სიმაგრეებამდინ."

* * *

ტფილისის კრება ტფილისის ოლქის სამღვდელოებისა წელს 4 ენკენისთვეს იყო დანიშნული, მაგრამ 6-მდის საკმაო წევრნი—დეპუტატნი არ მოგროვდნენ და ამიტომაც კრება ვერ გაიხსნა. ამ დღესაც მხოლოდ 11 დეპუტატი გამოცხადებულა კრებაზედ! გასაკვირველია ამ გვარი გულ-გრილობა ტფ. ოლქის სამღვდელოებისა თავის შვილების აღზრდის თაობაზედ.

წლევანდელ კრებას სასულიერო სასწავლებლის შესახებ ორ საგანზე უნდა ჰქონოდა სჯა. ხსენებულ სასწავლებლის გამგეობა თხოვდა კრებას 420 მან. მომატებას მოსამზადებელს კლასში მეორე განყოფილების გასახსნელად. კრებამ უარი განაცხადა ამ წინადადებაზედ.

მეორე უფრო მძიმე საგანი იყო ფონის-ძიების აღმოჩენა სასულიერო სასწავლებლისათვის საკუთარ სახლის ასაგებად, რადგან ახლანდელი სადგომი არ აკმაყოფილებს პედაგოგიურ მოთხოვნილებასაო. კრებამ გადაწყვიტა, ახალ ეგზარხოსის ჩამოსვლამდინ მოვიცადოთ და მაშინ იმას ვთხოვოთ, რომ ამ საგნისათვის გვასესხოს ფული იმ საეკკლესიო ფულიდამ, რომელიც სინოდალნი კანტორაში არის შენახული.

* * *

ახალციხიდამ გვწერენ, ამ მაზრის ხალხი და განსაკუთრებით ახლად-შემოერთებულის მხრებისა—აჭარისა და ფოცხოვის ძალიან ემადლიერებიან ადგილობრივ მაზრის უფროსს, რომლის მხნეობის წყალობით თითქმის სრულიად მოისპოვა ჩვენში ყოველგვარი ავაზაკობა და ქურდობა.

* * *

რაჭის მაზრის სოფ. ბუგეულიდამ გვაცნობებენ, რომ ამ სოფლის ხალხი ძალიან ემდურის თავის სკოლის

---

ვის მეგობრისათვის, ამ დედაკაცს უფრო მეტი საბუთი ჰქონდა რომ შეწუხებულიყო. ბირგოლამ იმას ჩააბარა ნუნუ, ბირგოლა ხელმწიფის სამსახურში იყო, ბირგოლას იმისი ყველება შეეძლო, და ამისთანა კაცისთვის რა პასუხი უნდა მიეცა? იაგოს ნახვა რომ მოისწრო ნუნუს, რომ ის კიდეც გაქცეულიყო იმასთან, მაშინ მსარჩელელად ის გამოუვიდოდა და იმდენს ძალას ვეღარ მიიტანდა ბირგოლა იმაზედ, მაგრამ ეხლა რა უნდა ექნა? ვერც იაგოს გული მოიგო და ვერც ნუნუ შეუნახა ბირგოლას.

საცოდავი დედაკაცი შიშით ცახცახებდა, რადგანაც თვალ-წინ წარმოსდგენოდა თავის აკლებული სახლი, რომელსაც შეუწყალებლივ სცარცვავენ და ანადგურებენ მსახურები, და ამის შემდეგ რა მოელოდა იმის შვილებს?.. სიღარიბე, მუდამ სხვის კარზედ ყოფნა, აღარც ცოლი, აღარც ოჯახობა!.. შენდა მოსპობილიყო იმის მამის შვილობა და აღარ დარჩენილიყო იმათი სახელის მხსენებელი.

ზოგიერთებს ჰგონიათ, რა კაცი გლეხ-კაცად გაჩენილა, იმათ არა აქვსთ იმ გვარი გრძნობები, მუშაობს, როგორც სხვა წოდებას ხალხს, მაგრამ მოიგონეთ ხალხის გამოთქმული ანდაზა, „რომ გლეხის გული ზღვაა, რას არ გაჰფიქრებს" და მაშინ დარწმუნდებით, რომ ეს სიტყვები აშკარად ამბობს იმ გრძნობით ცხოვრებაზედ, რომელსაც ისე უსაფუძვლოდ გლეხ-კაცობას რთმევენ ზოგიერთნი.

ამ მწარე დუმილში იყო დარეჯანა, როდესაც პირმა დაიწყო ლაპარაკი.

— რაიც მოხდა აღარ ეშველების... ის ბეჯითად შინ გაიქცა, ან აქედგან გაიპარა, რომ ცხო ადგილს მოეკლა თავი.

— რ ილა მეშველების, დალოცვილს! მწარედ წარმოსთქვა დარეჯანმ.

— რაი უყოთ? ღმერთს ხელი არ შეეფარება.

— მოვა ბირგოლაი და ამიკლებს!

— საით აგიკლებს, ქვეყანა ხალხი, აღარაა?

— „აბაი, დედალაი"... რაი შეუძლიან ხალხს ბირგოლასთან, ხემწიფის სწორი კაცია.

— ნუ გეშინის დარეჯან! ნათლიაია შენი, რას გიზამს?

— ბედმავო ჩემო თავო! რაი ნათლიობისა იცი!, ჩემო ყველავ, ბირგოლამა. აბა „რუსებჩი" გაზდილი ძაღლზედ დაუნდო ხდების.

— აჰუ! უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი ქაბამ.

— სადღაა „ნათელ-მირონის" დანდობა?.. უწინდელი დრო ხომ აღარაა, რომ ან ღვთისა ეშინოდესთ და ან ერისა.

ორნივ გაჩუმდნენ რაოდენიმე ხანს და ორნივ თავ-თავიანთ საგონებელში წავიდნენ. ქაბას თვალ-წინ იდგა მოწუცებული დედაკაცი, რომელიც იტანჯებოდა, ილეოდა შიშისგან, რომელიც მოელოდა, რომ დაუნანელად გასტანჯავდნენ, გაწვალებდნენ და იქნება სამუდამოდაც-კი ამოფხვრიან და მერე ვინ? იმისივე სწორი კაცმა, რომელიც თავის გარყვნილობით, რომლისთვისაც დახვრეტა ცოტა იყო, „ბატონის" ნაჩალნიკის საყვარლად შეიქნა. ამ წამად ის ნატრობდა, რომ ის თავისუფალი კაცი და ნათესავი ყოფილიყო დარეჯანისა, რათა შესძლებოდა აშკარად გამოსარჩლება და მაშინ აჩვენებდა ბირგოლას „რაიც კაცი იყო".

— დარეჯან! აი რაი გითხრა... შენ მამეულებისას წადი, იქ დარჩი „ბატარა" ხანს და სანამ ბირგოლას საქმისას გაიგონებ რასმე, იქ იყავ.

— იქაც არ მომისვენებს ჩემო ყველავ, არა! პირზე ხელების დაფარებით უპასუხა.

— შენ ნუ გეშინიან, თუ ცოცხლები დავრჩით... აღარ გაათავა ქაბამ.

— აბა თუ მიშველით რასმე თქვენა, თუ არა და პირი უნდა აეიხვიო და წყალში გადავარდე.

გასაკვირველი იყო ეს მდგომარეობა! მოწყობილს მართველობის დროს, როდესაც ნაჩალნიკები, დიანბეგები, სუდი, ნაცვლები და სხვა ათას მოხელე ხალხი ქიანქველებსავით ირევიან და მართლ მსაჯულებდნენ ალალ მართალი დედაკაცი, კაცის მკვლელს ეხვეწებოდა, რომ დაეფარა უსამართლოებისაგან!

— ჩადი და იქ მოიცადე... „თავად" მე შევატყობინებ ბირგოლას ამბავს, ეხლა-კი ნუნუს გზას გაუდგები.

ამ სიტყვებით ისინი გაშორდნენ ერთმანერთს, დედა-კაცმა გასწია თა-

…ულებელსაო, რომელიც ერთობ …ებად ზრუნავს თავის მოვალეობის- …აო; უფრო თავის მამულს უვლი- …რიგიანი მასწავლებელი რომ გვყავ- …ფულს არ დავზოგავთ, ჯამაგირ- …რიგიანს მივცემთო, მაგრამ ამის- …ა მასწავლებლისთვის ახლანდელი …ვარიც აფსუსიაო, —ასე ამბობენ …ხებით.

## „დროების" კორრესპონდენცია

**ყვირილა, 10 სეკტემბერი.** უ- …გრძნობა-დახშული და გულ …ვეშული უნდა იყოს კაცი, რომ …ღოს იმ მართლა და გულ-დასა- …ქავ სურათს და ყოველ წლივ …მის ჩვეულებრივს მოვლენას, …ელსაც ჩვენ ჩვენებურ სასწავლებ- …ის კარებში ვხედავთ, და არ შეე- …ოს, არ შეიბრალოს ის პატარა …ორჩი ახალგაზრდობა, რომელიც …დაკარგულის თვალებით შესჩე- …ა სასწავლებლის კარებს.

…თქმის ყოველ წლივ მატულობს …ოა-განათლებისმსურველების რიც- …ყველას სურს, რომ მისი მომა- შთამომავლობა მაინც აღარ …თქას იმ უმეცრებამ. რომელშიაც …ნ დაბადებულან და აღზრდი- …ილონდ თავიანთ შვილებს რა- …განათლება მისცენ და ამისთვის …ურს არ ზოგვენ.

…გრამ სად არის ადგილი? სად არის …დამაკმაყოფილებელი ამ გონიერ …თხოვნილებისა? ყოველ სასწავლებ- …კარებში ამ ნაირი სიტყვები …თ.

…ბატონებო, თავისუფალი ვაკან- …ლარ გახლავსთ!

…ვრო, ვინც კარგათ არ არის გაც- …ლი სწავლის სისტემას და სასწავ- …ის მოთხოვნილებას, ამ გვარ შემ- …ვაში ბრალს სდებენ თვითონ სასწავლებლის, მთავრობას; მაგრამ, ჩემის აზრით, ვინც ახლოს იცნობს მათ და იცის მათი გარემოება კარგათ, სრულებითაც არ ჩასთვლის მათ დანაშაულათ. იმათ რა ქნან? რასაც უბრძანებს თავის მაღალი მთავრობა, ის უნდა შეასრულონ. აი მაგალითად რა უნდა ექმნა წელს ქუთაისის სათავად აზნაურო სკოლის მთავრობამ ყმაწვილების მიღებაში, სადაც თხოვნა თითქმის ოთხი იმდენი იყო, რამდენიც თავისუფალი ალაგი? მაგრამ ამ შემთხვევაში ძლიერ გონივრად მოიქცა ბ. მიქინაძე: ჯერ ვინც მომზადებული იყო, ისინი გამოსცადა და ვინც თითქმის ყველა საგანში კარგი ნიშნები მიიღო, ისინი ისე მიიღო უწილოთ და დანარჩენს ყველას წილი უყარა და ვისაც შეხვდა, მხოლოდ ისინი მიიღო ასე რომ თვითონ სრულებით გამოხსნილი შეიქმნა მშობლების უსაფუძვლო ცილის-წამებისაგან. ამ შემთხვევაში სხვა ღონისძიება შეუძლებელი იყო.

ჩვენს გიმნაზიებში და პროგიმნაზიებში (ბავშების გამოცდა კი სულ სხვა ნაირად იყო. აქ მხოლოდ ყმაწვილებს შერეკდნენ ერთს ისეთ მივარდნილი ოთახში, სადაც ფანჯარიდგანაც ვერ შეხედავდა მშობელი თავის შვილს და შვილი თავის მშობელს. ეს ახალი წესები ეხლა შემოუღიათ, რომ გამოცდის დროს მშობლებს არავის არ უშვებენ კლასში და არ აყურებინებენ თავის შვილის გამოცდას. ბავშს უცხოსთან რცხვენია, ეშინია: „ვითომ თუ ვერაფერი მიუგო და აღარ მიმიღონო" და ამის გამო ის იბნევა და მასწავლებელს ორს სიტყვას ვერ ეუბნება. ეს ყველაფერი მევე გამომიცდია ჩემის მოკლე დროის პრაქტიკიდგან.

ამას თავი დავანებოთ: ჩვენს გუბერნიაში ერთად-ერთი გიმნაზიის პატრონი ვართ, რომელსაც, თუმც ვამჩნევთ, რომ ჩვენი გონებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლია, მაგრამ მაინც იმაში ვამზადებთ ჩვენ შვილებს, ვიჭერთ კერძო მასწავლებლებს, რომელთაც 15—40 მანეთამდის ვაძლევთ თვეში და დიდის გაჭირვებით მოსამზადებელ კლასის უმფროს განყოფილებაში თუ დაიჭერს ეგზამენს, ისიც კარგია; ბევრჯელ ხარჯიც ტყვილა იკარგება და ვერც ყმაწვილი იჭერს ეგზამენს. რომელ წლიდგან უნდა დაუწყოთ ჩვენს შვილებს სწავლება, რომ გიმნაზიის ახლანდელ პროგრამმით მოსამზადებელ კლასისთვის მოვამზადოთ? შვიდი წლიდგან, ან უფრო ადრეც. თვით განათლებული და გამოცდილი პედაგოგები ღაღადებენ, რომ 7 წლის ნაკლებ ყმაწვილთან სწავლების დაწყება არ-შეიძლება, რადგანაც ჯერ ყმაწვილი კიდევ სუსტია გონებით და ფიზიკურათაცაო. მაშ რვა წლიდგან დაწყებული ჩვენი ყმაწვილი მომზადდება თუ არა ათ წლამდის, რომ მოსამზადებელ კლასში შევიდეს რადგანაც მეტისას მოსამზადებელში აღარ მიიღებენ, ისე რომ რუსული წერაც იცოდეს, კითხვაც მშვენიერათ და ლაპარაკიც, რასაკვირველია, კარგათ? ამაზე ყველა დამეთანხმება, რომ არ შეიძლება. მაშასადამე იძულებული ვართ, რომ ამ გონიერ პედაგოგიურ მოთხოვნილებას წინა აღუდგეთ და სწავლება ხან 5 წლიდგან დავიწყოთ, რომ ეგებ მომზადდეს, თორემ ისე თქვენს მტერს, როგორც ჩვენ ისევ იმ უსწავლელობის და გაუნათლებლობის ნისლში ვიქმნეთ გახვეული, რომელშიაც ვართ.

ამ გვარი ჩვენებური გიმნაზიების პროგრამმა შეეთვისება რუსებს და ზოგის ჩვენებურს ოჯახობასაც, სადაც ყმაწვილს უმეტეს ნაწილათ რუსული ენა ესმის; მაგრამ საწყალმა სოფლის ღარიბ თავად-აზნაურობამ და გლეხობამ რაღა ქნას, რომელს ერთს გაუძლოს? სწავლის ქირის ძლევას, თუ ყმაწვილების შესაყვანათ მომზადებას, რომელიც წელიწადში არა ნაკლებ 300 ან 400 მანეთისა უჯდებათ?

მკითხველს ეხსომება, რომ ადგილობრივმა მაზრის უფროსმა ჩვენს დ. ყვირილაში პროგიმნაზიის გახსნა ითავა და ამ მიზნისათვის ერთ დღეს მოაგროვეს თითქმის 600 მანეთამდის; მაგრამ რას იზამს ეს 600 მანეთი, თუ მას კიდევ არ მიუმატეს რამე? ჯერ ამ საქმეს ისევე სძინავს, როგორც ყვირილის ნორმალურ სკოლასთან საქალებო განყოფილების გახსნის საქმეს, რომლისთვისაც შეწირულია 175 მანეთი თუ რაღაცაა. დროა, დრო ვიგრძნოთ, რომ ეს სასწავლებლების რიცხვი არ არის ჩვენთვის საკმაო და მაშასადამე ვალდებულნი ვართ, შეძლების-და-გვარად, გავამრავლოთ მათი რიცხვი ჩვენში.

თ. კვალითელი.

# განცხადებანი

**თბილისის სათავად – აზნაურო სკოლის გამგეობისაგან.**

წარსული აკადემიური წლის განმავლობაში თბ. სათავად-აზნაურო სკოლაში შემოტანილ იქმნა 145 თხოვნა. ამ რიცხვიდამ ას ერთი მთხოვნელი საზოგადოების სრულს ხარჯზედ მიღებას თხოულობდა; ათი-ნახევარს ხარჯზედ, ე. ი. ათი თუმნის შეტანით სკოლაში სრულს ხარჯზედ ცხოვრებას, ცხრამეტი მთხოვნელი თვის ხარჯით, ე. ი. ოცის თუმნის შეტანით, თხოვდა სკოლაში ყოფნას. დანარჩენი თხუთმეტი ითხოვდა სკოლაში გარედამ მოსიარულეთ ჩარიცხვას.

---

…ოფლისაკენ და ძობა-კი შეუდგა …, საითკენაც უნდა წასულიყო …, თუ გაქცევა გაბედა, რადგანაც …გზები მცველებით იყო გამსებუ- …ა ნუნუც ვერ გაბედამდა იმაზედ …ოს.

…ხანში ნუნუ გასცდა არშის …და გადავიდა ბერგეტულს მთა- …სადაც თავის სიყმაწვილეში ისე …დ დადიოდა „ხილობ".

…ამან სიარული ვეღარ შესძლო …ლეისა და სისუსტის გამო და … შიშით ძალიზედ უცემდა გუ- …მაგრამ ბუნებამ თავისი გაიტანა— …როც ზევითა ვსთქვით იმას დაე- …ტბილისა, თუ მძიმე ძილით.

…თენებისას იმას გამოეღვიძა და …ა დათვიას ტყისაკენ სადაც სურ- …ამდის დაფარული ყოფილიყო, …შეუმჩნევლად გასულიყო თავის …ში. ის მივიდა დანიშნულს ად- …დ დალონებული, დაჯდა წყა- …პირს, ტყესთან, რომელიც ისე …ებს იქაურს დიდებულს ბუნგ- …ა იმ გარეგანს უზარმაზაროდ …ულს კლდეებს და ყინულიანს …, რომელსაც ისე ამშვენებდა …ნაზი სიმწვანით.

ქალი იჯდა წყაროს პირს, რომელიც იქვე კლდიდგან გამოჩუხჩუხებს და ჰფიქრობდა თავის მწარე დღეებზედ, როდესაც ერთბაშათ მოესმა საშინელი ღრიალი. ნუნუ შეკრთა, წამოხტა ფეხზედ და ჯერ ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის, როდესაც ერთი უზარმაზარი დათვი წყნარად და ბუტბუტით გამოვიდა ტყიდგან. ის შესდგა ცოტა ხანს მოათვალიერა იქაურობა, გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა ისევ და თითქოს გაკვირვებულმა დაუწყო ნუნუს ყურება, რომელიც შიშით, ცახცახმა აიტანა. დათვმა აილო მაღლა თავი და დაუწყო ჰაერს სუნთქვა, თითქოს დარწმუნება უნდოდა რომ ნუნუ მოჩვენება არ არის. მერე დაალო პირი, რამდენჯერმე გადაისვა ტუჩებზედ სისხლსავით წითელი ენა დაღუნა თავი და ღრიალით დაუწყო ტოტებით და ფჩხილებით მიწას თხრა, თითქოს იმათ სიმწვეტე უნდოდა გამოეცადა.

ნუნუს გასაქცევათ გზა აღარა ჰქონდა დარჩენილი, რადგანაც ის ერთად ერთი ბილიკი, რომელიც წყაროდგან მოდიოდა დათვს დაეჭირა და ისე გულის გამხეთქად, წამდაუწუმ ეს მხეცი, მსუნაგად ილოკამდა თავის ტუჩებს ის თითქოს ელოდა, რომ მადა მეტად გაღვიძებოდა. და ამისთვის შესთამაშებდა თავის მსხვერპლს.

ნუნუმ იმედი გადაიწყვიტა და ელოდა როდესაც დათვი მოიგუნებებდა იმის გაფათვრას, მაგრამ მხეცი დარწმუნებული რომ მსხვერპლი ვეღარ წაუვა ხელიდგან, არა სჩქარობდა.

ბოლოს დათვს თითქოს მოსწყინდა ამ გვარი დროს გატარება, თვალებ ჩასისხლებულმა მეტათ შეღრიალა მეტად დაუწყო მიწას თხრა, მერე შესდგა შეიკუმშა როგორღაც და წყნარად შესდგა უკანა ტოტებზედ; საშინელის ღრიალით გაემართა ქალისკენ, რომელიც მიკუმშილიყო და აჰკრობოდა კლდეს. დათვი ისე მიახლოვდა, რომ ქალი აშკარად ჰგრძნობდა იმის გახურებულს ქშენას მაშინ როდესაც ნუნუს სუნთქვა შესწყვეტოდა და ის იყო ტოტი შემოუქნია, როდესაც გავარდა თოფი და დათვი ღრიალების შემდეგ, შეხტა, და გადატრიალდა კისერზედ და დაეცა ქალის წინ. ვიღაცის მარჯვენამ, შიგ თვალში ჩაუსვა ტყვია, რომელმაც ისე მსწრაფლად ზედ იმ ადგილზე გააცივა ეს გამძვინვარებული პირუტყვი.

ნუნუმ მიიხედა და რამდენიმე ნაბიჯზედ დაინახა ვიღაცა ყმაწვილი ბიჭი, რომელსაც, ღიმილი მოზიოდად სახეზედ და წყნარად თოფსა სწმენდამდა.

— ქალაუ! მარტოლ ხიარული საშიში თუ არა? შაეხუმრა.

— შექრჩეს მარჯვენაი! თუ შენ არა ეხლა მკვდარი ვიქნებოდი, წარმოსთქვა ნუნუმ და ერთბაშად გამტირდა. ყმაწვილი ბიჭიც გაშტერებულსავით დარჩა; ეტყობოდა რომ რაღაც ხდებოდა იმათ შორის.

— იაგო! ბოლოს წყნარად და ძლივს წარმოსთქვა ნუნუმ.

— ნუნუ! ჩემო ყველავ! დაიძახა იაგომ და მოხვია ხელები, თითქმის გონება ახდილს ქალს.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

ამ ნაირად, მთხოვნელთა რიცხვი ამ აკადემიური წლის დამდეგს იყო სულ ას ორმოც-და-ხუთი. თავისუფალი ადგილები კი სკოლის გამგეობას ჰქონდა სულ ორმოც-და-სამი. აქედამ სამი ადგილი საზოგადოების სრულს ხარჯზედ მყოფ შეგირდებისა; ერთი ნახევარ ხარჯზედ მყოფისა; ცხრამეტი ოც თუმნიანი პანსიონერებისა და ოც-და-ათიც გარე შეგირდებისა, ამ ეხკენისთვის სამს სკოლის სახლში მოხდა კენჭის ყრით მიღება შეგირდებისა. საზოგადოების სრულს ხარჯზედ კენჭი შეხვდათ:—გორის მაზრიდამ სიკო ყიფიანს; სიღნაღის მაზრიდამ ზაქარია ილიას-ძეს ნასიძეს; დუშეთის მაზრიდამ კოტე კორინთელს; ნახევარ ხარჯზედ მყოფის კენჭი შეხვდა:-თბილისის მაზრელს ვლადიმერ ხიმშიაშვილს. მოხსენებული ცხრამეტი ოც თუმნიანი პანსიონერები უკენჭოთ იქმნენ სრულიად მიღებულ სკოლაში. ერთი ამ ცხრამეტთაგანი, ობოლი ბავშვი, მიღებულია თ. ივანე კონსტანტინეს-ძის ბაგრატიონ-მუხრან ბატონის ხარჯზედ, რომელმაც ინება მისი აღზრდა. თხუთმეტი გარე შეგირდათ მთხოვნელნი დაკმაყოფილებულ იქმნენ გარდა ორისა, რომელთა დიდი წლოვანება და უცოდინრობა გახდნენ მათი მიუღებლობის მიზეზად.

შემდეგ ამისა განმგებელმა კამიტეტმა ხელ-მეორედ განიხილა თხოვნა ამ ას ერთი ბავშვებისა, რომელთაგან სამნი საზოგადოების ხარჯზედ იქმნენ მიღებულ; დიდის სიფრთხილით მიაქცია ყურადღება ამ თხოვნელთა შეუძლებლობის ხარისხს და ამის დაგვარად ოც-და-ჩვიდმეტს მათგანს დაუნიშნა თვიური შემწეობა ფულითა.

სია შეგირდებისა, რომელნიც ამ წელს იქმნენ მიღებულ ტფილ. სათავადაზნაურო სკოლაში:

საზოგადოების ხარჯზედ

1. ყიფიანი სიკო,
1. კორინთელი კოტე,
3. ნასიძე ზაქარია.

ნახევარ ხარჯზედ

1. ხიმშიაშვილი ვლადიმერი.

თავიანთ ხარჯზედ

1. ამირეჯიბი გიორგი,
2. თარხნიშვილი დავითი,
3. მარჯანოვი ვლადიმერი,
4. ერისთავი რევაზი,
5. ერისთავი ირაკლი,
6. რატიშვილი კოტე,
7. რატიშვილი ილიკო,
8. ანანიაშვილი დავითი,
9. ანანიაშვილი სერგეი,
10. მაჩაბელი ალექსანდრე,
11. ჩიქვაიძე სერგეი,
12. ვაჩნაძე ლეონტი,
13. ვაჩნაძე ლევანი,
14. წურცელაძე ალექსანდრე,
15. რუსიევი მიხაილი,
16. ანდრონიკოვი მიხეილი,
17. მუხრანსკი ივანე,
18. კაპანაძე გიორგი,
19. წურცელაძე ირაკლი.

თვიური შემწეობის მიმღებნი

1. გედევანიშვილი ალექსანდრე
2. გედევანიშვილი ალექსანდრე ნ—ძე
3. მამაცაშვილი დავითი,
4. კლიმიაშვილი სამსონი,
5. ავალიშვილი ალექსანდრე,
6. ჯაჯანაშვილი ელისბარი,
7. ელიოზაშვილი ვლადიმერი,
8. მგალობლიშვილი ალექსან.,
9. წინამძღვარიშვილი იოსები,
10. ჯაჯანაშვილი მიხეილი,
11. ბერძნიშვილი იასონი,
12. კოტეტიშვილი დავითი,
13. ფანიაშვილი იოსები,
14. საყვარელიძე სამსონი,
15. ამილახვარი გიორგი,
16. ბროძელი ნიკ.,
17. სალინაშვილი ალექ.,
18. დედანაშვილი იოსები,
19. ჟურული გიორგი,
20. მწყერაძე ბიძინა.
21. რატიშვილი ნიკ.,
22. წურცელაძე ივანე,
23. გარაყანიძე ვასილი,
24. მალალაშვილი ნიკო,
25. თარხნიშვილი ნიკოლოზი,
26. ლოლაძე მიხეილი,
27. ფიცხელაური ვახტანგი,
28. გურამიშვილი ნიკო,
29. გიორგობიანი ილია.
30. ზაალიშვილი ალექსანდრეს,
31. კოშარიძე სიკო,
32. გვერდწითელი გიორგი,
33. წურცელაძე იასები,
34. ელიოზოვი კოტე,
35. ანანიაშვილი გიორგი,
36. ჯავახიშვილი ვლადიმირ,
37. ჩივაძე იოსები.

სკოლის ინსპ. ნ. ლომოური.

ქუთაისის საქალაქო სამ-კლასიან სასწავლებლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ გახსნა ამ სამოქალაქო სასწავლებლისა დანიშნულია ამა სექტემბრის 15 რიცხვისათვის, დილის 9 საათ. (3—1)

ისყიდება

ჩაი

ძმათა კ. და ს. პაპოვების ნამდვილი ფირმისა გირვანქობით და ყუთებით

ფასი გირვანქ სა 1—40-მ. ვიდრე 3 მანეთამდის ათის პროცენტის დაკლებით—მანეთიდამ. არწრუნის ქარვასლაში, სიონის გვერდით ბ. ალხაზოვის კანტორაში. (6—1)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებიგამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრე-ძის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ლექსები, სიმღერები და ზღაპრები

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

ალაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის საავენტოსა.

ფასი ერთი აბაზი

(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გადმოქცეული თ. რ. ერისთვისა.

ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

ტაქსის

საქვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დარაჯებით 1 სექტემბრიდამ 1 ოკტომბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის—1 გირ. 5 კ.
მეორის „ —1 გირ. 3½
მესამის „ —1 გირ. —

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის—1 გირ. 5½
მეორის „ —1 გირ. 4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 6 კ.
მეორის „ „ —1 გირ. 5 კ.
მესამის „ „ —1 გირ. 4½

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის —1 გირ. 8 კ.
მეორის „ —1 გირ. 7 კ.
სუკი — — —1 გირ. 14 კ.
ცხვრის ხორცი 1 გირ. 9 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის —1 გირ. — კ.
მეორის „ —1 გირ. — კ.

გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

სამშობლო!

ისყიდება შავერდოვის საავენტოში.

ფასი 60 კაპ. (20—20)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Сентября 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი